ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3523179

ნომერი: AR1531476

თარიღი : 09.08.2017

გაცემის თარიღი : 07.09.2017

გაცნობის თარიღი : 08.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზვიად შანავა პ/ნ 19001094896
- ზუგდიდი ც.დადიანის ქ. N 1 ბ. 38

ორგანიზაცია:
- ემიქსი კოდი: 420423679

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 აპრილის №3203158 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 09 აგვისტოს №AR1531476 განცხადებით მომართა ზვიად შანავამ და მოითხოვა, სამსახურის 2017 წლის 12 აპრილის №3203158 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ს სამსახურის 2017 წლის 12 აპრილის №3203158 ბრძანებით დამტკიცდა: ქ.თბილისში, სოფელ დიღომში, მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.72.14.035.080 ინდივიდუალური მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. განმცხადებლების განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს სამსახურის 2017 წლის 12 აპრილის №3203158 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №882017314113, 2017 წლის 20 აპრილი, 14:27:21) თანახმად, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღეის მდგომარეობით წარმოადგენს შპს ,,ემიქსი'' (ს/კ:420423679), ხოლო მისი წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი დიმიტრი გოხელიშვილი, 2017 წლის 09 აგვისტოს №AR1531476 წარმოდგენილია თანაგანმცხადებლად.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებების გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს ზვიად შანავას მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ზვიად შანავას 2017 წლის 09 აგვისტოს #AR1531476 განცხადება.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 12 აპრილის №3203158 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში